

JEL Classification: L690; N7; Q4

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.014>

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბალანსის ძირითადი პარამეტრების ფორმირების ტენდენციები

დემურ ჩომახიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
demurchomakhidze@yahoo.com

ქეთევან ცხაკაია

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ketevan.tskhakaia@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ბალანსი, ელექტროენერგია, ექსპორტ-იმპორტი, ჰესები, თბოსადგურები.

ციტირებისთვის: ჩომახიძე დ., ცხაკაია ქ. (2019), საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბალანსის ძირითადი პარამეტრების ფორმირების ტენდენციები, *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №7, გვ. 117-122. <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.014>

შესავალი

ელექტრობალანსს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ენერგეტიკული ბალანსების სისტემაში. კერძოდ, ეს უკანასკნელი ტრადიციულად ღრმად დეფიციტურია, მაშინ, როცა ელექტრობალანსი წლიურ ჭრილში ბოლო წლებში უდეფიციტოა. იგი წარმოადგენს ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს, სადაც ასახულია ეროვნული მეურნეობის სტრუქტურა და თავისებურებები, (გველესიანი. 2011).

ელექტრობალანსში ჩანს ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის დეტალიც, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხთან და მისი ენერგეტიკული უსაფრთხოების დაცვასთან. ენერგეტიკული სტატისტიკის, მათ შორის ელექტრობალანსის წარმოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას საკმარისი რაოდენობის ელექტროენერგია, ანდა წარმოადგენენ თუ

არა ისინი ელექტროენერგიის იმპორტიორ სახელმწიფოს. ელექტრობალანსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც ენერგიის მუდმივ იმპორტს ახდენენ, აგრეთვე აქვთ ენერგიაშემცველების მოხმარების დაბალი ეფექტიანობის პრობლემა და ვერ ახერხებენ კონკურენტუნარიანი სასაქონლო პროდუქციის წარმოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ელექტროენერგიის ტარიფები (ფასები) მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად განსხვავებული და ცვალებადია, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში ეკონომიკური კრიზისის მიზეზიც ხდება. ელექტრობალანსის ანალიზის დროს საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ხილული და ფარული დეფიცეტი. ხილული დეფიცეტი ისეთი დეფიცეტია, რომელიც წარმოადგენს ანგარიშგებით ან ბალანსში ნაჩვენები ენერგიის წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობას. ანგარიშგებითი ელექტრობალანსი სიმძლავრისა და ელექტროენერგიის მოთხოვნილებას აღრიცხავს ელექტროფიკაციის მიღწეული დონისა და ელექტროენერგიის მოხმარების არსებულ ტექნიკურ საშუალებათა შესაბამისად.

ამასთან, იგი სრულებით არ უწევს ანგარიშს იმას, თუ რამდენად პასუხობს იგი ეკონომიკის განვითარების ამოცანებს. იგივე ითქმის ენერგოსისტემის სიმძლავრის ბალანსზედაც. აქედან ცხადია, რომ მართლაც ბალანსების მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ ელექტროენერჯით ქვეყნის ნამდვილ საჭიროებათა დაკმაყოფილების ხარისხზე. ამიტომაც ბალანსში ასახული ენერჯის დეფიციტი ვერაფერს გვეუბნება ეკონომიკის უეჭველად დიდ არაპირდაპირ დანაკარგებზე, რომელთაც იწვევს აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკის ცალკეული დარგების ხელოვნურად შენელება, ელექტროენერჯეტიკული ბაზის ჩამორჩენის გამო.

რეალური ელექტრობალანსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარული დეფიციტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ რაოდენობას, რომელიც ფაქტურად წარმოებული ელექტროენერჯის ზევით უნდა გამოიმუშავე-ბულიყო მეურნეობის შიგნით აუცილებელი პროპორციების დაცვისა და მისი მთელი ქვეყნის ეკონომიის მიმართ პროპორციულად განვითარების უზრუნველსაყოფად. ასეთივე ორი სახის დეფიციტი უნდა გავარჩიოთ ენერგოსისტე-მის სიმძლავრის ბალანსშიც. ცხადია, ფარული დეფიციტი ბალანსში თავისი რაოდენობრივი მნიშვნელობით ასახავს ელექტროენერჯეტიკის განვითარების ფაქტობრივად მიღ-წეულ და ოპტიმალურ საჭირო დონეთა სხვაობას.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ელექტრობალანსი საბჭოთა პერიოდში ძირითადად დეფიციტური იყო. ამ მხრივ გამოწვევის

ცხრილი 1. საქართველოს ელექტრობალანსი 2005-2015 წლებში, მლნ. კვტ. სთ.

დასახელება	წელი				
	2005	2010	2012	2014	2015
წარმოება (სალტედან გაშვება)	6880,8	9919,2	9471,9	10153,7	10832,6
მათ შორის					
ჰესი	5850,2	9263,3	7122,1	8221,1	8453,8
თესი	1030,6	655,9	2349,8	1932,6	2378,7
იმპორტი	1398,6	222,1	614,6	851,9	699,2
რუსეთიდან	615,7	211,9	517,05	665,6	511,0
სომხეთიდან	252,9			2,1	86,5
თურქეთიდან	9,3	0,0001	629,0	-	-
აზერბაიჯანიდან	20,7	4	97,54	184,2	101,7
ექპორტი	121,8	1 524,2	528,2	603,6	659,9
რუსეთში	-	1117	369,43	218,6	169,6
აზერბაიჯანში	-	14,31	11,79	8,0	-
თურქეთში	121,5	303,4	79,0	236,5	419,4
სომხეთში	-	89,5	67,9	140,5	70,9
წმინდა მოხმარება, სულ	7842,2	8422,0	9379,4	10402,0	10631,8
ბალანსი (±)	-96,2	+1477,2	+92,5	-248,3	+200,8

შეადგენდა მხოლოდ რამდენიმე წელი (1970-1975, 1979-1980). დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართ-ველოს ელექტრობალანსი კვლავ, მაგრამ უფრო ღრმა დეფიციტური გახდა. განსაკუთრებით ეს ითქმის 1990-2005 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდებზე. 2000 წელს კი ელექტროენერჯის ფაქტობრივმა დეფიციტმა საქართველოში 400 მლნ კვტ.სთ შეადგინა. მცირდებოდა ელექტროენერჯის წარმოებაც (თითქმის ორჯერ). ეს კი განაპირობებდა ელექტროენერჯის მოხმარების იძულებით შემცირებას. მრეწველობაში იგი შემცირდა 11,5-ჯერ, ტრანსპორტზე - დაახლოებით 4-ჯერ. იგივე ტენდენცია იყო სოფლის მეურნეობაში (2000 წელს სოფლის მეურნეობაში ელექტროენერჯის წლიურმა მოხმარებამ 7,2 მლნ კვტ.სთ შეადგინა), მშენებლობაში (2000 წელს მოხმარება - 9,0 მლნ კვტ.სთ) და ა.შ. 2005 წელს ელექტროენერჯის დეფიციტი 96,2 მლნ კვტ.სთ-მდე შემცირდა, ხოლო 2007 წლიდან 2014 წლამდე ბალანსი უდეფიციტო იყო (ცხრილი 1), (სემეკის წლიური ანგარიშები, 2005-2017).

2014 წელს, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით ელექტროენერჯის წარმოება თითქმის 3%-ით გაიზარდა, დეფიციტი მოხმარების ზრდამ (7,3%) განაპირობა. ამ წელს იმპორტის საჭიროებამ 248,3 მლნ კვტ.სთ-ით გადააჭარბა ექსპორტს. 2015 წელს საქართველოს ელექტრობალანსი კვლავ უდეფიციტო გახდა. ამ წელს ელექტროენერჯის წარმოებამ (სალტედან გაცემა) 10,8 მლრდ კვტ.სთ-ს გადააჭარბა, რომელიც წმინდა მოხმარებას (10,6 მლრდ კვტ.სთ) 200 მლნ კვტ.სთ-ით გადააჭარბა. 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება გაიზარდა 7,3%-ით, ხოლო მოხმარება - 6,2%-ით. შესაბამისად ბალანსი უფრო მეტად დადებითი გახდა.

2005-2015 წლების პერიოდისგან თვისობრივად განსხვავებული აღმოჩნდა ბოლო ორი წლის (2016 და 2017) მაჩვენებლები. კერძოდ, 2016 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ქარის ელექტროსადგური, რომელმაც უკვე 2017 წელს გამოიმუშავა 87,8 მლნ კვტ.სთ. თუმცა ელექტროენერჯის საერთო გამოიმუშავება მაინც შემცირდა 0,4%-ით. ამის ძირითადი მიზეზი გახდა წყალნაკლებობის გამო ჰესებში ელექტროენერჯის წარმოების შემცირება. შედეგად ელექტრობალანსიც დეფიციტური გამოდგა. ამაში თავისი წილი შეიტანა მოხმარების მნიშვნელოვანმა (თითქმის 1 მლრდ კვტ.სთ) ზრდამ, ყოველივე ამის გამო საჭირო გახდა იმპორტული ელექტროენერჯის გადიდება 1,5 მლრდ კვტ.სთ-მდე, (ცხრილი 2), (საქსტატი, 2013-2017).

საქართველოში ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი ცვალებადი დინამიკით ხასიათდება. უკანასკნელი 17 წლის მანძილზე იმპორტის მოცულობა 39,3%-ით გაიზარდა. იმპორტის მაქსიმალური დონე აღინიშნა 2017 წელს


ცხრილი 2. საქართველოს ელექტრობალანსი 2016-2017 წლებში, მლნ კვტ·სთ.

მაჩვენებელი	წელი	
	2016	2017
ელექტროენერჯის გამომუშავება, სულ	11573,6	11531,2
მათ შორის:		
ჰესი	9329,2	9210,4
თესი	2235,4	2233,0
ქარის ელექტროსადგური	9,0	87,8
იმპორტი, სულ	478,9	1497,2
ექსპორტი, სულ	559,0	685,7
მოსმარება	11493,5	12342,7
ბალანსი (±)	+80,1	-811,5

(1497,2 მლნ კვტ·სთ), მინიმალური 2010 წელს (222,1 მლნ კვტ·სთ). საქართველოსთვის ელექტროენერჯის მთავარ იმპორტიორად კვლავ რუსეთი რჩება. საქართველო ელექტროენერჯის ღებულობს ყველა მისი მეზობელი ქვეყნიდან. გასული საბჭოთა წლებისაგან განსხვავებით, საქართველოსთვის ელექტროენერჯის იმპორტიორი გახდა თურქეთი. 2001 წელს თურქეთიდან მიღებული იქნა 523 მლნ კვტ·სთ ელექტროენერჯია, რომელიც იმპორტის საერთო მოცულობაში თითქმის 40%-ს შეადგენდა.

რაც შეეხება ექსპორტს, მისი მაქსიმალური ოდენობა აღინიშნა 2010 წელს (1,5 მლრდ კვტ·სთ), მინიმალური – 2006 წელს (84,4 მლნ კვტ·სთ). რუსეთი ამ სფეროშიც საქართველოსთვის არა მარტო მსხვილი მომწოდებელია, არამედ მას მნიშვნელოვანი რაოდენობით გააქვს ელექტროენერჯია საქართველოდანაც – 2010 წელს 1117,1 მლნ კვტ·სთ, ანუ საქართველოს ექსპორტის საერთო რაოდენობის 73,3%, 2014 წელს – 218,6 მლნ კვტ·სთ, ანუ 36,2%.

ნახ.1. საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის სტრუქტურა, 2017 წ.



2017 წელს ელექტროენერჯის იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან (917,5 მლნ კვტ·სთ), რუსეთიდან (452,2 მლნ კვტ·სთ), სომხეთიდან (127,5 მლნ კვტ·სთ). ხოლო ექსპორტი – რუსეთში (261,9 მლნ კვტ·სთ), თურქეთსა (284,6 მლნ კვტ·სთ) და სომხეთში (137,5 მლნ კვტ·სთ), აზერბაიჯანი –1,7 მლნ კვტ·სთ, (ნახ.1), (სემეკის წლიური ანგარიშები, 2005–2017).

ელექტროენერჯის იმპორტი საქართველოში ხორციელდება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

2015 წელს ელექტროენერჯის იმპორტმა შეადგინა 699,2 მლნ კვტ·სთ, ხოლო ექსპორტმა – 959,9 მლნ კვტ·სთ. მთავარი იმპორტიორი ქვეყანა კვლავ რუსეთი დარჩა, რომლის წილი 73,1%-ია. ექსპორტის ყველაზე დიდი რაოდენობა აღინიშნა თურქეთში – 419,4 მლნ კვტ·სთ. ამ ქვეყნის წილმა ექსპორტის საერთო რაოდენობის 63,5% შეადგინა. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებთან შედარებით საქართველოში კვლავ დაბალია მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერჯის მოხმარება (ცხრილი 3), (Key World Energy Statistics, 2016).

საქართველოს ელექტროენერჯის პროგნოზული ბალანსი დამაიმედებელია. პერსპექტიულ მშენებლობათა გათვალისწინებით შემუშავებულია „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“ 2018–2029 წლებისათვის. ამ გეგმის მიხედვით 2029 წელს საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება გადააჭარბებს 30 მლრდ. კვტ·სთ, ხოლო მოხმარება 22 მლრდ კვტ·სთ-ს, ანუ შესაძლებლობა იქნება 10 მლრდ კვტ·სთ გატანილ იქნას ექსპორტზე.

ცხრილი 3.

ელექტროენერჯის მოხმარება მოსახლეობის 1 სულზე (2014).

ქვეყანა	მოსახლეობა, მლნ	ელექტროენერჯის მოხმარება, მლრდ კვტ·სთ	1 სულზე მოხმარება, კვტ·სთ
მსოფლიო	7249	21963	3029,8
აშშ	319,17	4137,1	12962
რუსეთი	143,82	949,59	6602,6
გერმანია	80,98	569,75	7035,7
იაპონია	127,12	995,26	7829,3
საფრანგეთი	66,17	460,2	6954,8
ლატვია	1,99	6,9	3460
ლიტვა	2,93	11,21	3820
უკრაინა	45,38	154,77	3410
საქართველო	4,5	10,02	2226,6
აზერბაიჯანი	9,54	21,0	2201
სომხეთი	3,01	5,71	1897

სამომავლო ელექტრობალანსის ფორმირების მთავარი განმსაზღვრელი პირობაა ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების მოცულობები, რომელიც თავის მხრივ, მრავალ ფაქტორზე დამოკიდებულია. მათ შორის მთავარია ელექტროენერჯეტიკისა და ეკონომიკის განვითარების მასშტაბები. ორივე მათგანის პერსპექტიულ მდგომარეობას კი ფაქტორთა უზარმაზარი რაოდენობა განსაზღვრავს, კერძოდ, ელექტროენერჯის წარმოების წყაროები (hydropower, thermal power, renewable power და ა.შ.), მათი განლაგება, ენერჯმენეჯმენტი, ენერჯის ტრანსპორტირება, დანაკარგები, ექსპორტი, იმპორტი, ენერჯის განაწილება, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, რეგიონული თავისებურებები, კლიმატი, გარემოს დაცვა, ენერჯოტეკვალობა, მოსახლეობის სტრუქტურა, ცხოვრების წესი და ტრადიციები და ბევრი სხვა (Chomakhidze D. 2017).

ელექტრობალანსის ფორმირება წარმოადგენს ლოკალური თუ გლობალური პოლიტიკის დაგეგმვის საუკეთესო საშუალებას. იგი დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორცაა კლიმატის ცვლილებები და ენერჯეტიკული უსაფრთხოება. ელექტროენერჯის ბალანსის შემოსავლითი ნაწილი დიდადაა დამოკიდებული ელექტროენერჯეტიკული სტრატეგიის ძირითად ამოცანებზე და პრიორიტეტებზე. ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის საფუძველი არის უსაფრთხო, საიმედო და ხელმისაწვდომი ენერჯომომარაგება. სამომავლო ელექტრობალანსის სისტემური ანალიზის ჩატარება მოითხოვს:

1. განისაზღვროს ენერჯობაზრის მამოძრავებელი ძალები;
2. გაანალიზდეს სხვადასხვა ალტერნატივები;
3. დაისახოს სასურველი ენერჯოსცენარი;
4. მომზადდეს სტრატეგიული რეკომენდაციები ამ სცენარის განხორციელებისათვის.

ენერჯიაშემცველებზე მოთხოვნა-მიწოდების მამოძრავებელ ძალებს მიეკუთვნება: ეკონომიკური ზრდის ტემპი; ენერჯის წარმოებისა და მოხმარების ცვლილებები; მოთხოვნები ინვესტიციებზე; ალტერნატიული ენერჯოწყაროების განვითარება და სხვა. ენერჯეტიკული პოტენციალის გამოყენება და კერძოდ, ენერჯის წარმოებისა და მოხმარების დონე მოსახლეობის ერთ სულზე, როგორც სამოგადობრივი პროგრესის საფუძველი, საყოველთაოდ აღიარებულია ყველა ქვეყნის განვითარების დონის ერთ-ერთ უტყუარ მაჩვენებლად. ექსპერტთა შეფასებით, ენერჯომომარაგების დონე და დინამიკა ისეთივე ობიექტური პარამეტრია ეკონომიკის განვითარების დასახასიათებლად, როგორც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი.

აღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინებით, „საქართველოს

ცხრილი 4. საქართველოს ელექტროენერჯის საპროგნოზო ბალანსი 2018–2029 წლებში, მლრდ კვტ·სთ.

წლები	გენერაცია	მათ შორის			მოხმარება	ექსპორტი
		ჰესები	თესები	ქარის სადგური		
2018	13,34	11,13	2,12	0,093	13,00	0,34
2019	14,47	11,85	2,53	0,093	13,65	0,82
2020	15,95	12,46	3,40	0,093	14,33	1,62
2021	18,03	15,10	2,84	0,093	15,05	2,98
2022	20,35	17,91	2,34	0,093	15,80	4,55
2023	22,89	20,36	2,43	0,093	16,59	6,30
2024	23,20	20,56	2,55	0,093	17,42	5,79
2025	26,34	23,63	2,61	0,093	18,29	8,05
2026	27,82	24,63	3,09	0,093	19,21	8,61
2027	29,57	26,28	3,20	0,093	20,17	9,41
2028	29,92	26,62	3,20	0,093	21,17	8,74
2029	32,26	28,97	3,20	0,093	22,23	10,03

ველოს ელექტროსისტემის“ მიერ შემუშავებულია ქვეყნის საპროგნოზო ბალანსი მომავალი ათი წლისთვის (ცხრილი 4), (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. 2018).

მდიდარი ჰიდროენერჯორესურსების ათვისება საქართველოს საშუალებას აძლევს არამარტო დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე, არამედ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპორტზეც გაიტანოს.

დასკვნა

ელექტრობალანსი საქართველოს ენერჯეტიკული ბალანსის მთავარი შემადგენელი ნაწილია. მასში კონცენტრირებულიადაა ასახული ქვეყანაში საწარმოო ძალთა განვითარების დონე, მისი შესაძლებლობების გამოყენება და ძლიერება, ელექტროენერჯის წარმოება-მოხმარების დონე. იგი, გარკვეულწილად, ამავე დროს მოსახლეობის ცხოვრების დონის, მთელი ქვეყნის სოციალური განვითარებისა და უსაფრთხოების მაჩვენებელიცაა.

ელექტრობალანსი საქართველოში ტრადიციულად, მათ შორის დამოუკიდებლობის პირველ წლებში, დეფიციტური იყო. ბოლო წლებში ამ მიმართულებით დადებითი ძვრები შეინიშნება, თუმცა სახეზეა მთელი რიგი გამოწვევები. საქართველო ელექტრიფიკაციის მაჩვენებლებით კვლავ ჩამორჩება მოწინავე ქვეყნების ანალოგიურ პარამეტრებს; მაღალია პროდუქტის ელექტროტეკვალობის დონე, რომლის შემცირება მნიშვნელოვანი რეზერვა ბალანსის სრულყოფისათვის, ქვეყანაში კარგი პირობებია გა-

ნახლებადი ენერგეტიკული რესურსების (ჰიდრო, მშე, ბელთა ელექტროენერჯის მოხმარების სფეროში მოწინავე ქარი) ათვისებისათვის; ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა ელექტროტევადობის პოტენციალის გამოყენება კი 12%-ის ფარგლებშია. აუცილედ- შემცირების მიზნით და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი თ., ჩომახიძე დ. (2011). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. თბილისი, „უნივერსალი“ [Gvelesiani T., Chomakhidze D. (2011). Georgia's energy security. Tbilisi, «Universali“. In Georgian].
2. ესკო წლიური ანგარიში. (2015–2017). თბილისი.
3. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა. (2018). თბილისი. [Georgian State Electro system Transmission network development ten year plan. (2018). Tbilisi. In Georgian].
4. საქსტატი საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი. (2013–2017). თბილისი [Geostat Georgia's Energy Balance (2013-2017). Tbilisi. In Georgian].
5. სემეკის წლიური ანგარიშები. (2005–2017). თბილისი [Annual Reports of GNERC. (2005-2017). Tbilisi. In Georgian].
6. ჩომახიძე დ. (2012). ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“ [Chomakhidze D. (2012). Principles of regulating sustainable development of energy. Tbilisi, «Technical University». In Georgian].
7. ჩომახიძე დ. (2014). საქართველოს ენერგეტიკა: ეკონომიკა, რეგულირება, ტერმინოლოგია. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“ [Chomakhidze D. (2014). Georgia Energy: Economics, Regulation, Terminology. Tbilisi, «Technical University». In Georgian].
8. Chomakhidze D. Tskhakaia K., others. Electricity balance of Georgia: trends and prospects, Energy Procedia (2018) pp. 581-587. DOI: 10.1016/j.egypro.2018.07.074.
9. Chomakhidze D., Shengelia G. (2017). Energy Complex of Georgia. Lap, Lambert Academic Publishing.
10. Key World Energy Statistics. (2016).

JEL Classification: L690; N7; Q4

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.014>

THE TRENDS OF DRAWING UP THE ELECTRICITY BALANCE OF GEORGIA

DEMUR CHOMAKHIDZE**Doctor of Economics, Professor**

Georgian Technical University

Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia

demurchomakhidze@yahoo.com

KETEVAN TSKHAKAIA**Candidat of Technical Science, Associate Professor**

Akaki Tsereteli State University, Georgia

ketevan.tskhakaia@gmail.com

KEYWORDS: BALANCE, ELECTRICITY, EXPORT-IMPORT, POWER PLANTS, THERMAL PLANTS.

For citation: Chomakhidze D., Tskhakaia K. (2019), The Trends Of Drawing Up The Electricity Balance Of Georgia, *Globalization And Business*, №7, pp. 117-122. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.014>

SUMMARY

The paper dwells on the analysis of electricity balance of Georgia in the years of 2005-2017 in accordance with the parameters such as electricity generation-consumption and exports-imports. Significant attention was paid to the structural development of electricity generation and consumption. The paper also addresses the issues of exports-imports with neighboring countries. Electricity exports and imports in Georgia is characterized by changing dynamics. Over the past 17 years, imports have grown by 39,3%. It has been highlighted that the electricity balance in the years of

2016-2017 differs substantially from the electricity balance of previous years that is due to the operation of wind power plant, which just in 2017 generated 87,8 million kWh, representing 1% of generated electricity.

The paper highlights that the level of electric intensity of production in Georgia is still high, the reduction of which is considerable room for improvement in the electricity balance; there is need for development of renewable energy resources (hydro, solar, wind), placing greater reliance on advanced technologies in the field of electricity consumption and so on.